მოდერნის სტილი ძველი ბათუმის არქიტექტურაში

მაია ჭიჭილეიშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიური დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი
მეცნიერი თანამშრომელი; ბათუმის ხელოვნების
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ელ-ფოსტა: maia.chichileishvili@bsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0009-0002-2030-9948

აბსტრაქტი: XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს ქალაქებსა და დაბებში მოდერნის სტილი გავრცელდა. ძველი ბათუმის (XIX-XX საუკუნეების მიჯნა) არქიტექტურაში წარმოდგენილია მოდერნის სტილში გადაწყვეტილი საზოგადოებრივი შენობები და საცხოვრებელი სახლები. ზოგიერთ მათგანს, მდებარეობის, მასშტაბის, დინამიკური და მხატვრულად გამომსახველი დეკორატიული ფორმების გამო, გამორჩეული ქალაქეგემარებითი აქცენტის მნიშვნელობა ენიჭება. ნაგებობათა გარკვეული ნაწილს კამერული მასშტაბები, ზომიერ, სწორხაზოვან ფორმებზე დამყარებული საფასადო შემკულობა და ნაკლებად პლასტიკური დეკორი გამოარჩევს. ბათუმის მოდერნულ არქიტექტურაში შეინიშნება ეზოსპირა ფასადების შემინული გალერეებით გახსნის ადგილობრივი ტრადიცია. მოდერნის სტილის შენობები წარმოადგენენ ბათუმის ისტორიული ურბანული ანსამბლის განუყოფელ ნაწილს.

საკვანძო სიტყვები: ბათუმი, არქიტექტურა, მოდერნის სტილი.

***

შესავალი: XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს ქალაქების არქიტექტურაში იმ დროისათვის დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული მხატვრული სტილი - „მოდერნი“ მკვიდრდება.[1] შემოქმედებით თავისუფლებასა და მრავალფეროვნებაზე დამყარებული ახალი მიმართულება, დასავლური ორიენტაციის მქონე დამკვეთთა და პროფესიონალ შემსრულებელთა ძალისხმევით, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში შექმნილი საინტერესო საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ხუროთმოძღვრული ნიმუშებით წარმოჩინდა. დასავლური ქალაგეგმარებით, ფუნქციურ, ტექნიკურ, ასევე, კლასიკური არქიტექტურის პრინციპებს ნაზიარები XIX-XX საუკუნის საქართველოს ეკლექტური არქიტექტურა მზად აღმოჩნდა თანამედროვე სიახლეების მისაღებად, რაც, ეროვნული ტენდენციების დამკვიდრების მცდელობების მიუხედავად, განსაზღვრავდა არქიტექტურის კოსმოპოლიტურ ხასიათს. ხანმოკლე პერიოდში, 1900-იანი წლების დასაწყისიდან თითქმის 1920-იან წლებამდე, საქართველოს ქალაქებსა და დაბებში - თბილისი, ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, დუშეთი, ბორჯომი, ქობულეთი, ჩაქვი, მახინჯაური, სოხუმი, ახალი ათონი - მოდერნის სტილის მრავალი საინტერესო საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობა აშენდა. მოდერნის პოპულარობა საქართველოში ზენიტს 1910-იან წლებში აღწევს. XIX-XX საუკუნეების საქართველოში გავრცელებულ ამ სტილშიც, ისევე, როგორც ამ პერიოდის სხვა ფსევდო–მხატვრულ სტილისტურ მიმართულებებში, ქართული არაფერი იყო. მოდერნის სახვითი ენა, უმთავრესად, უცხოეთში შე-

[1] არქიტექტურასა და დიზაინში გამოხატული ეს მხატვრული სტილი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სახელწოდებითაა ცნობილი. „Jugendstil“ გერმანიაში, „Sezessionsstil“ ავსტრიაში, „Stile Liberty“იტალიაში “Art Nouveau“ საფრანგეთსა და ბელგიაში, „Modernismo“ ესპანეთში, „Glasgow Style“-შოტლანდიაში, რუსეთში „მოდერნი“ , საქართველოში იწოდება ორი ფორმით „მოდერნი“ , „არტ ნუვო“.

მუშავებული ნიმუშების მიბაძვის შედეგად ფასადთა საერთო კომპოზიციის, კარ-სარკმელთა, კარ-ნიზების, პარაპეტის, აივნის მოაჯირებისა და კედლის სიბრტყეთა დამუშავების თავისებურ ასორ-ტიმენტს ეფუძნებოდა (ბერიძე, 1963: 82-83). თუმცა, მას ახასიათებდა ხაზგასმული სიახლის ძიება, შემოქმედებითი თავისუფლება, ინდივიდუალიზმი, მხატვრული გადაწყვეტის მრავალფეროვნება, მდიდარი დეკორატიული მორთულობისაკენ სწრაფვა, მრუდხაზოვანი ფორმების დინამიკა, არქი-ტექტურის, ქანდაკებისა და „ფერწერული“ ფორმების სინთეზი და სხვ. XIX საუკუნის სტილისტური სიჭრელის ფონზე მოდერნის ნიმუშები გახდა ხელოვანთა ინდივიდუალური შესაძლებლობების, დამკვეთთა გემოვნებისა და, გარკვეულწილად, მათი სოციალური სტატუსის გამოხატულება. სტი-ლის თავისებურებას განსაზღვრავდა ესთეტიზმი, პლასტიკასა და დეკორატიულობაზე დამყარე-ბული მხატვრული ფორმების, აღმოსავლური კულტურებით (იაპონური) შთაგონებული მოტივების, იუმორისტული, სიმბოლური, ფოლკლორულ-ალეგორიული ელემენტების ერთგვარი სტილიზაცია, საერთო კომპოზიციური პრინციპით გამთლიანება და, ამასთანავე, სხვადასხვა გეოგრაფიულ-კულტურული არეალისათვის დამახასაითებელი ტრადიციების გათვალისწინებაც. ეროვნული თა-ვისებურებების შენარჩუნების, თანამედროვე მოთხოვნებთან შერწყმის, ნაგებობისა და გარემოს სინთეზირების, კლიმატური პირობების გათვალისწინების მცდელობები გამორჩევს საქართველოს მოდენულ ნაგებობს, კერძოდ კი, საცხოვრებელ სახლებს, რომელთაც მოდერნის მხატვრული პრინციპებისა და თბილისური სახლებისათვის სახასიათო აივნიანი ეზოების სტრუქტურის შერწმის ტენდენცია ახასიათებს. ამასთანავე, თბილისის ხუროთმოძღვრებაში შეინიშნება სტილის ადრეუ-ლი და მოგვიანო ეტაპების მხატვრული სახეცვლილებებიც (გენგიური, 2013:2014).

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მოღვაწე არქიტექტორები სხვადასხვა სტილში მუ-შაობის პრაქტიკას მიმართავდენენ. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთა შემოქმედებაში არტ–ნუვოს მიმართულებას გარკვეული ადგილი ეჭირა. საქართველოში მოდერნის მხატვრული ტენ-დენციების დამკვიდრება დაკავშირებულია ისეთ არქიტექტორთა სახელებთან როგორიცაა: ს.კლდიაშვილი, ს.კრიჩინსკი, ა.როგოისკი, მ.ნეპრინცევი, ნ.ობოლონსკი, ალ.ოზეროვი, მ.ოჰანჯანო-ვი, ღ.სარქსიანი, გ.ქურდიანი, ა.შიმკევიჩი, ი.დიცმანი, ე.ფრიკი, კ.ცაარი და სხვ. (გენგიური, 2013:214-226). ბათუმში, საქართველოს სხვა ქალაქების მსგავსად, მოდერნის სტილის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობები 1900-იანი წლების დასაწყისიდან იგება, მაგრამ მოდერნის სტილის პრაქტიკის მქონე არქიტექტორთა შესახებ ისტორიულ-საარქივო ცნობები ძალზე მწირია და აღნიშ-ნული საკითხი ღრმა კვლევას საჭიროებს.

მეთოდოლოგია: კლევის მეთოდოლოგია მოიცავს საარქივო და სამეცნიერო მონაცემების შეს-წავლის, მხატვრული ფორმის ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის, წერილობითი და ვიზუალუ-რი წყაროების კრიტიკული ანალიზის მეთოდებს. მნიშვნელოვანია სამეცნიერო ლიტერატურაში დაცული თოთოეული წყაროს, ფოტომასალისა და ძეგლის ამჟამინდელი მდგომარეობის შედარე-ბითი ანალიზი, ნაგებობის ვიზუალური შეფასება, აღწერა, ფიქსაცია, ავთენტური და რეკონსტრუი-რებული სამშენებლო ფენების გამიჯვნა, განაშენიანებისა და შენობის მხატვრულ-ისტორიული კონტექსტების წარმოჩენა.

დისკუსია/შედეგები: ძველი ბათუმის არქიტექტურაში წარმოდგენილია მოდერნის სტილით ნაგები საზოგადოებრივი შენობები (კინოთეატრი, მაღაზია, ბანკი და სხვ.) და საცხოვრებელი სახ-ლები. მოდერნის სტილის ნაგებობათა უმეტესი ნაწილი არქტიექტურული თვალსაზრისით გამორ-ჩეულ მემედ აბაშიძის, ყოფილი მარიას პროსპექტზეა შემორჩენილი. მემედ აბაშიძის გამზირის განაშენიანება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა. ამ დროისათვის მას მარიას პროსპექტი ერქვა რუსეთის იმპერატორ ალესანდრე III-ის მეუღლის საპატივცემულოდ, რომელიც ბათუმს 1888 წელს ეწვია. ქუჩა პორტის მიდამოებს ქალაქის სიღრმეში მდებარე ნურის ტბასთან აკავშირებდა. განაშენიანების კაზმულობით გამორჩეული პროსპექტი წარმოადგენდა ქალაქის საქმიან ნაწილს. აქ

თავმოყრილი იყო ბანკები, სხვადასხვა ქვეყნის საკონსულოები, კინოთეატრები, ფოსტა, სამხედრო გუბერნატორის რეზიდენცია, ცხოვრობდნენ ქალაქის წარჩინებული ფენის წარმომადგენლები.

აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული, „მარინსკის“ (მარიას) ქუჩაზე (მემედ აბაშიძის ქუჩა №16) მდებარე ნიკიფორ ნიკიფორიდის სახლის პროექტი 1904 წლითაა დათარიღებული. პროექტზე გამოსახული ორსათულიანი, სავაჭრო და საცხოვრებელი ფუნქციის მქონე შენობის ფასადს, „კლასიკურთან“ ერთად, მოდერნის სტილის მხატვრული ელემენტები ამკობს. სარკმელთა მრუდხაზოვანი ფორმები, ლენტებით მორთული საჭექი ქვებისა და გირლანდების მოტივები, ვიტრინების აჟურული ცხაურები, აივნის მოაჯირები, ერეკერთა ნიჟარისებური ძირები, აგურის, ქვის წყობისა და გლუვად შელესილი ზედაპირების მონაცვლეობა მოდერნის თავისებურებებს ავლენს (ასს,ფ. ფონდი-6, ანაწ. 2, საქ. 498). შენობის დღევანდელი სახე ადასტურებს, რომ პროექტი მხოლოდ ნაწილობრივ, რამდენადმე შეკვეცილი სახით განხორციელდა: სიმეტრიის პრინციპს დაქვემდებარებული ცენტრალური და კიდის რიზალიტებს შორის განვითარებული ოთხი ფართო ღიობიანი დარაბის და მეორე სართულის წაგრძელებულ აივნებიანი ფასადის ნაცვლად ერკერებიან როზალიტებს შორის მოქცეული მოკლე მკლავიანი, სავაჭრო-საცხოვრებელი ფუნქციის მქონე ორსართულიანი ნაგებობა აშენდა. თავდაპირველად, ერკერებს შორის წაგრძელებული ლითონის აივანი იყო განთავსებული, რომელიც ამჟამად მორღვეულია. შენობის ფასადი, რიზალიტების პარაპეტი, პროექტის ჩანაფიქრისაგან განსხვავებული, კლასიცისტურ-ბაროკული ელემეტებით შეიმკო და, ძირითადად, ერკერების დეკორსა და მეორე სართულის თაღოვან ღიობებს შემორჩა ზომიერად გამოყენებული, მოდერნის სტილის პლასტიკური ფორმები (თავსართები, ნაძერწი ორნამენტები და სხვ.). თანამედროვე პერიოდში დაშენებული მანსარდის ფანჯრების შემკულობაც ძველ მოტივებს იმეორებს და ხაზს უსვამს ფასადის ეკლექტურ ხასიათს. ამჟამად შენობის ფასადი კლასიცისტურ-მოდერნული ელემეტების საინტერესო ნაზავს წარმოადგენს. ამ სახლისათვის ტრადიციული ელემენტია ქუჩისპირა ფასადის პირველ სართულზე ფართო ვიტრინებიანი სავაჭრო ფარდულების, ხოლო მეორე სართულზე საცხოვრებელი კომპარტიმენტების განთავსება.

მოდერნის სტილის ნიმუშია, ამავე შენობის გვერდით, მემედ აბაშიძის ქუჩა № 12-14 მდებარე, 1900-იანი წლების დასაწყისში აგებული ორსართულიანი სახლი, რომელშიც ახლა სასტუმრო ფუნქციონირებს.[2] შენობის ფასადის კომპოზიციას სწორკუთხა ფანჯრების ირგვლივ განთავსებული დეკორი ქმნის. მოდერნის რეპერტუარს მისდევს დაბალი რელიეფის მქონე ხორკლიანი და გლუვზედაპირიანი სიბრტყეები, გოფრირებული, ირიბი და სწორხაზოვანი ღარებით დამუშავებული პანელები, სამმაგი შვეული ხაზების მოტივები. ფასადის გამომსახველობას განსაზღვრავს სხვადასხვა ფაქტურის სიბრტყეთა მონაცვლებით შექმნილი შუქ-ჩრდილის ეფექტები. გეომეტრიული ფორმების დომინანტურობა და ფასადის მხატვრული სისადავე ხელს არ უშლის მოდერნის სტილის მხატვრულ თავისებურებათა წარმოჩენასა, ასევე, შენობის ორგანულ ჩართვას თანადროული ხანის ურბანულ ანსამბლში.

ძველი ბათუმის ურბანული ანსამბლის საინტერესო ნიმუშია 1912 წ. აგებული მ.აბაშიძისა (№10) და გ.მაზნიაშვილის (№1) ქუჩების გადაკვეთაში მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. შენობის კუთხის ნაწილი მაღალი მოცულობით, ორნამენტული დეკორით, ლითონის აივნითა და აქვე დატანილი აგების თარიღით – „1912 წელი” - არის ხაზგასმული. შენობის პირველ სართული ფართო, ხოლო მეორე – მართკუთხა ფანჯრების რიგითაა წარმოდგენილი. ფასადის ძირითად დეკორს შეადგენს ვერტიკალური ზოლებით, ჰორიზონტალური ღარებითა და წრიული სიბრტყეებით შემკული „პილასტრები“, ფანჯრის ძირებისა და თავსართების ორნამენტული პანელები, ვერტი-

[2] ღიობებით გახსნილი და მარმარილოს ფილებით მოპირკეთებული პირველი სართული ფასადები სახეცვლილია და ავთენტურობას ძირითადად მეორე სართული ინარჩუნებს, შენობის მანსარდა კი ჩვენი საუკუნის 10-იან წლებშია დაშენებული.

კალური სეგმენეტების დამაგვირგვინებელი თაღოვანი ფრონტონები, პარაპეტის ლითონის მოაჯირები. ფასადის სტილიზებული ორნამენტული სახეები, სხვადასხვა ფაქტურის გეომეტრიული სიბრტყეების მონაცვლეობა ავლენს გვიანი მოდერნის ნიშნებს. მემედ აბაშიძის ქუჩის აღნიშნული მონაკვეთი ხასიათდება ურბანული ანსამბლის შეგრძნებით, რასაც, თავის მხრივ, მოდერნის სტილის ნაგებობათა გადაწყვეტაც განაპირობებს. აქ უპირატესობა ენიჭება სწორკუთხა ღიობებს, ზომიერად გამოყენებულ ნაკლებად პლასტიკურ ორნამენტულ დეკორს და სხვადასხვა ფაქტურის კედლის სიბრტყეთა გამომსახველობას. მსგავსი მხატვრული პრინციპები ახასიათებს XX საუკუნის 10-იანი წლების თბილისის მოდერნულ არქიტექტურასაც (გენგიური, 2015: 11-12).

მოდერნი და კინო ერთ პერიოდში გავრცელდა ევროპასა და საქართველოშიც. ერთმანეთთან ასოცირებული ეს ორი ტექნიკური ინოვაცია ახალი სანახობრივი ტიპის ნაგებობის შექმნით აღინიშნა. კინოთეატრები, ძირითადად, მოდერნის სტილში შენდებოდა. 1905 წლიდან საქართველოს ქალაქებში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში აგებულ კინოთეატრებსაც („აპოლო“, „პალასი“; „მონ-პლეზირ“; „აპოლო“, „ილუზიონი“) მოდერნის სტილის არქიტექტურა უდევს საფუძვლად. ისინი საინტერესო სურათს იძლევიან როგორც ნაგებობათა გეგმარების, ასევე, ფასადების მხატვრული და ინდივიდუალური გადაწყვეტის თვალსაზრისით. საარქივო მასალებით „ელექტროთეატრ აპოლო“-სათვის მიწის ნაკვეთი მარიას („მარინსკის“) პროსპექტზე 1909 წელს იქნა გამოყოფილი ქალაქის მერის - ივანე ანდრონიკაშვილისადმი ნიკოლოზ ბროვალის მიმართვის საფუძველზე. შემდგომად კინოთეატრის პროექტი ქალაქის თვითმართველობის მიერ იქნა დამტკიცებული. კინოთეატრი 1909-1910 წლებში აშენდა, რასაც ადასტურებს 1911 წლით დათარიღებული, ბათუმელი ფოტოგრაფის მიხეილ გლაუდანის მიერ გადაღებული ფოტო, რომელზეც ნაგებობა დასრულებული საფასადო დეკორით უკვე ქუჩის განაშენიანებაშია ჩართული (თავაძე, 2015:223-229). კინოთეატრის შენობის ფასადი მოდერნის სტილის ფართო ნახევარწრიული შემინული ღიობებით იყო გახსნილი. კარის სვეტებს შორისი მორკალური სიბრტყეები დეკორატიულ ელემენტებსა და მფლობელის წარწერას - „Кинотеатръ Н. Бровалъ и Ко“ - ეთმობოდა. ფასადის ზედა თაღოვან არეზე რელიფური ასოებით კინოთეატრის სახელწოდება - “АПОЛЛО“ იყო გამოსახული. ფასადის ტრეხილთაღოვანი, რუსტირებული პილასტრები, ნალისებური ფორმის ფართო ღიობები, მორკალული სიბრტყეები, მრავალფეროვანი ალათები, წრეებისა და ხვიარა მცენარეების მოტივები მოდერნის მხატვრული ფორმებითაა ინსპირირებული. საქართველოს მოდერნული სტილის ნიმუშებში, ტრადიციულ სწორკუთხა ღიობებთან ერთად, გვხვდება მრგვალი, ნალისებური, ელიფსისებური ფორმის ღიობები ორნამენტული ჩარჩოებითა და ფრამუგებით. ასევე, ხშირი მოტივია ფუნქციური თუ დეკორატიული დატვირთვის მქონე სვეტებიც.[3] კინოთეატრ „აპოლოს“ საფასადო კომპოზიცია, სვეტების გადამკვეთი მორკალული განიერი ღიობებით, გამორჩეულია ბათუმის მოდერნულ შენობებს შორის, რომელთაც უმეტესად სწორკუთხა ფორმის ღიობები ახასიათებს.

მოდერნის სტილის საფასადო დეკორით გამოირჩეოდა ბათუმში დონდუკოვ-კორსაკოვის (კ.გამსახურდიას) ქუჩაზე მდებარე რუდოლფ ვეიდემანის მფლობელობაში არსებული კინოთეატრი - „ილუზიონი“, რომლის მშენებლობა 1908 წელს დაუწყიათ (თავაძე, 2015:225).[4] კინოთეატრი ქვით ნაგებ და კრამიტით გადახურულ ნაგებობას წარმოადგენდა მოდერნის სტილში შესრულებული ფერწერული საფასადო დეკორით. აქაც ფასადის ცენტრში გაჭრილი ორფა, ორნამენტულ ალათე-

[3] მომრგვალებული, ნალისებური ღიობები გვხვდება თბილისის (ხელთათმანების ატელიე ლეონიძის ქ. №7, შარდენის ქუჩა №7, ბამბის რიგის მთავარი შესასვლელი და სხვ.), ასევე, ქუთაისის (სახლი ნიუპორტის ქუჩაზე. კინოთეატრი „მონ-პლეზირ“ და სხვ.) არქიტექტურაშიც.

[4] კინოთეატრი „ილუზიონი“ ამჟამად აღარ არსებობს. 1900-იანი წლების დასაწყისში აგებული ბათუმის კინოთეატრების თავდაპირველი სახელწოდებები 1931 წლიდან კომუნისტური შინაარსის შემცველი სახელწოდებებით შეიცვალა: „აპოლოს“ ეწოდა „ინტერნაციონალი“, “პალასს“ –„კომკავშირელი“, „სელექტს“ - „ოქტომბერი“. 1932 წლის დადგენილებით შეიცვლა ამ შენობათა ფასადები (თავაძე, 2015:225).

ბიან კარს, თითქოს კინოკამერასთან ასოცირებული ნალისებური ფორმის წრე-თაღი შემოსაზღვრავს, რომლის ზემოთ მორკალულ და მოჩარჩოებულ მუქ პანელზე განთავსებულია წარწერა - "Театръ „Иллюзіонъ". კარის ორივე მხარეს, ფასადის გვერდითა სიბრტყეებს დენადი, თავისუფალი ნახატით შესრულებული ორნამენტული ღეროებიდან აღმოცენებული გაშლილი „ვარდები" და ნემსიყლაპიების ფიგურები, ასევე, სახელწოდების შემცველი წარწერები ამკობს. ბუნების მოტივების, მცენარეების, მწერების, განსაკუთრებით კი, სიმბოლური მნიშვნელობის მქონე „ქალის სახიანი ნემსიყლაპიის" სტილიზებული გამოსახულებანი არტ ნუვოს ოსტატთა (რენე ლალიკი, ლუის ტიფანი, ემილ გალე) საყვარელი მოტივებია, რაც თავის მხრივ ადასტურებს, რომ სიახლეებისადმი ინტერესი XX საუკუნის დასაწყისის ბათუმშიც მაღალი იყო.

მემედ აბაშიძის ქუჩის ისტორიულ განაშენიანებაში შემორჩენილია მოდერნის ელემენტების მქონე ისეთი შენობები, რომელთაც სტილის გვიანი ეტაპის ნიშნები - ფასადის სიმეტრიული, მკაცრი რიტმული სტრუქტურა, სწორხაზოვანი, გეომეტრიული ფორმებისადმი სწაფვა და დეკორატიული ელემენტების ზომიერი გამოყენება ახასიათებს. მემედ აბაშიძის ქუჩის N4–ში მდებარე ორსართულიანი სახლი, რომელიც ამჟამად აჭარის ტელევიზიის ერთ-ერთ კორპუსს წარმოადგენს, XX საუკუნის დასაწყისშია აგებული. შენობის პირველი სართული სავაჭრო სათავსებს ეჭირა, მეორეზე – გერმანელი ფოტოგრაფის - მიხეილ გლაუდანის შუშის ჭერით, მდიდრული ავეჯითა და შავი ქანდაკებებით მორთული ფოტოატელიე იყო მოწყობილი. შენობის ფასადის შემკულობა - თაღოვანი ფრონტონით აქცენტირებული რიზალიტის, პორტალის, პარაპეტის, კარნიზის დეკორი, მცენარეულ– ფოთლოვანი პანელები და სხვა დეტალები მოდერნის რეპერტუარს ეფუძნება. გამომსახველი ელემენტია მეორე სართულის ვერტიკალური ღარებისა და მათში ჩართული ბრტყელი ნახევარპილასტრების ფრიზი. აქაც, ისევე, როგორც მემედ აბაშიძის ქუჩაზე მდებარე სხვა საცხოვრებელი სახლების (№10, 12) ფასადების შემკულობაში, უპირატესობა გეომეტირულ, სწორხაზოვან მხატვრულ ფორმებს ენიჭება. დახვეწილი პროპორციებისა და საფასადო დეკორის მქონე ნაგებობა ძველი ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის საინტერესო ნიმუშია.

გვიანი მოდერნისათვის დამახასიათებელ ტენდენციას ასახავს, მემედ აბაშიძის ქუჩა №49 მდებარე, XX საუკუნის დასაწყისში აგებული, თოჯინების თეატრის შენობა. კამერული პროპორციებისა და აგურისფერი ქვით მოპირკეთებულ ფასადს შენობის პერიმეტრში ჩართული თაღით გახსნილი აივანი ამშვენებს. აივნის ოვალური ღიობი, ჭვირული მოაჯირის დეკორი, ასევე, სხვადასხვა ფაქტურისა და ნახატის ნალესობით გამოყვანილი შენობის მარცხენა ფასადის ხაოებიან-გლუვი სიბრტყეები, გეომეტრიული - სამკუთხა და მართკუთხა ფორმების კომბინაციით შემდგარი შუშაბანდის ალათები მოდერნის სტილის ნიშნებს შეიცავს.[5]

გვიანი მოდერნის მხატვრულ თავისებურებებს ავლენს ი.გოგებაშვილის ქუჩა №16–ში მდებარე, XX საუკუნის დასაწყისში აგებული ორსართულიანი სახლის ექსტერიერი. არათანაბარ სეგმენტებად დაყოფილი შენობის ფასადი, სწორკუთხა ფანჯრების რიტმით, შვეული ზოლებისა და ლომის თავების სკულტპურებით შემკული პილასტრებით, მცენარეულ-ორნამენტული ფრიზითა და სხვა დეტალებით, მოდერნის სტილში შესრულებული ინდივიდუალური მხატვრული გადაწყვეტის ნიმუშია.[6] შენობის პილასტრებზე გვხვდება მოდერნის არქიტექტურისათვის სახასიათო, საქართველოს მოდერნულ ნიმუშებში ფართოდ გავრცელებული, რომბებებით ან წრეებით დაბოლოებული ვერტიკალური, ვიწრო სისქის ხაზების მოტივი. მოდერნულ შენობებში პოპულარული ეს მოტივი

[5] სათეატრო ნაგებობის თანამედროვე ადაპტაციის მიზნით, 2011-2012 წლებში, შენობას რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. აივნის ნაწილის დაზიანების შედეგად დაიკარგა ავთენტური დეკორი, შეიცვალა მოცულობა, ამ პერიოდიდან გაჩნდა მანსარდა, მთლიანად განახლდა ინტერიერი და განადგურდა ეზოს ფასადი.

[6] ამჟამად შენობა სახეცვლილია, XXI საუკუნის 20-იან წლებში განხორციელებული რეკონსტრუქციის შედეგად. სწორედ ამ პერიოდში დააშენეს მას მესამე სართული და მანსარდა.

სხვადასხვა ინტერპრეტაციითაა წარმოდგენილი ავსტრიის, იტალიის, ესპანეთის, რუსეთის, ლიტვის არქიტექტურაში. საქართველოში ასეთი მხატვრული ხერხებით შედგენილი კომპოზიციები გვხვდება არა მარტო ფასადების დეკორში, არამედ კედლის მხატვრობასა და ხის არქიტექტურის ნიმუშებშიც.

გ.მაზნიაშვილისა და ფარნავაზ მეფის ქუჩების გადაკვეთაში (№ 36) მდებარე, XX საუკუნის დასაწისში აგებული თამბაქოს მრეწველის – ლაზარე ბინიათ-ოღლის სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი მოდერნის სტილის გამორჩეული ნიმუშია. ძველი უბნის მჭიდრო განაშენიანებაში მოქცეული ნაგებობა განსაკუთრებული მხატვრული გამომსახველობითაა გამორჩეული. მის ხასიათს ასიმეტრიული გეგმარება, სხვადასხვა ფერისა და ფაქტურის სამშენებლო მასალა (ქვა, აგური, კერამიკული ფილები, ბეტონი), ღიობთა მრუდი და სწორხაზოვანი მოყვანილობა, ინტერიერის მცენარეულ ორნამენტული და ფიგურული ნაძერწი დეკორი, ასევე, ეზოს შემომსაზღვრელი ღობის ტეხილი სილუეტი განსაზღვრავს. ნაგებობა მოდერნის სტილის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია საქართველოში. საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული სტილი მსგავსებას იჩენს საქართველოში მოღვაწე ლიეტუველი არქიტექტორის – ედმუნდ ფრიკის მიერ ფოთსა და ქუთაისში აგებულ შენობებთან (ე.წ. „ჩინური სახლი“ ქუთაისში, ხილკოვსკის სახლი, სამხატვრო სკოლის, კოლხური კულტურის მუზეუმის შენობები ფოთში და სხვ.), რომელთაც მოდერნული და ნეორომანტიკული ელემენტების სინთეზი ახასიათებს (ღვინერია, 2023). ცნობილია, რომ ედმუნდ ფრიკი საქართველოშო 1904 წელს, ნიკოლოზ პირველის სამოქალაქო-საინჟინრო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩამოდის. 1906 წელს იგი ბათუმის ქალაქის გამგეობის ტექნიკოსად იწყებს მუშაობას. ამავე პერიოდიდან იგი მოღვაწეობს ფოთსა და ქუთაისში. ბათუმსა და მის შემოგარენში შემორჩენილი ისტორიული ნაგებობებიდან ედმუნდ ფრიკის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული ისეთი არქიტექტურული ნიმუშების დაპროექტება და აგება, როგორიცაა ვიკენტი სკარჟინსკის სააგარაკე სახლი „კასტელო მარე“, „ლაო ჯინ ჯაოს სახლი“ ჩაქვში და ბინიათოღლის სახლი ბათუმში, მაზნიაშვილის ქუჩაზე.

მ.კოსტავას (ყოფილი ოგლობჟინსკის) ქ. №20 მდებარე, საგანგებოდ მაღაზიისათვის აგებული ორსართულიანი შენობა ქართველი მეწარმეს - ნიკოლოზ საბაევს (საბაშვილს) ეკუთვნოდა. ნაგებობის პროექტი განხილული და დამტკიცებულია ბათუმის არქიტექტორის, სამოქალაქო ინჟინრისა და ბათუმის საქალაქო სამმართველოს მიერ 1908 წელს, პროექტის ასლზე არქიტექტორის ინციალები დატანილი არ არის (ასს, ფ. ი-6, ა. 2, ს. 505).[7] მაღაზია წარმოადგენდა ორსართულიან, ფართო ღიობებით გახსნილი ფასადის მქონე ნაგებობას, შიდა სივრცეში გამართული კიბეებითა და ტოსკანურ სვეტებზე დამყარებული ლითონის მოაჯირებიანი ანტრესოლებით. შენობა პროექტის შესაბამისად იქნა აგებული. ფასადის ოთხ სეგმენტად დაყოფილი კომპოზიცია მცირედ შვერილი რიზალიტებითაა ხაზგასმული. რიზალიტები კარის ღიობებით, მრგვალი სარკმლებით, თაღოვანი თავსართებითა და სტილიზებულ „პილასტრებზე“ გამოსახული წრისა და შვეული, სამღარიანი ხაზების მოტივებით, ასევე, გახსნილ-თაღოვანი პარაპეტითაა აქცენტირებული. ტალღისებური, ხვეული წრეებით აღნიშნული სართულების გამყოფი ფრიზი, შენობის სწორკუთხა, წრიული და მრუდხაზოვანი ფორმის ღიობები, ტეხილი კონფიგურაციის კარნიზი, წყვეტილ– ტალღოვანი პარაპეტი, ინტერიერის ლითონისმოაჯირებიანი აივნები და სხვა დეტალები მოდერნის სტილში იყო შესრულებული. მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაში მოღწეული შენობის რეკონსტრუქცია, პროექტის თავისებურებათა მეტნაკლები გათვალისწინებით, XXI საუკუნის 10-იან წლებში განხორციელდა, რამაც გარკვეულწილად შელახა მისი ავთენტურობა. მიუხედავად ამისა, შენობა არტ-ნუვოს საინტერესო ნიმუშად წარმოჩინდება და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქუჩის მასშტაბსა და მხატვრულ სახეს.

[7] პროექტი შეიცავს მინაწერს, ბათუმის არქიტექტორის, საქალაქო ინჟინრის მიერ განხილვისა და ასლის ორიგინალთან სისწორის, ასევე ბათუმის საქალაქო სამმართველოს მიერ პროექტის დამტკიცების, თანხმობის შესახებ.

ზ.გამსახურდიასა და მ.კოსტავას ქუჩათა გადაკვეთაზე მდებარე, XX საუკუნის დასაწყისში აგებული პ.შპოლიანსკის სახლის მასშტაბური სამსართულიანი შენობა მოდერნის სტილის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია საქართველოში (Всеобщий Адресъ ежегодник..., 1902:80; კლდიაშვილი, 1984:53).[8] ნაგებობა სავაჭრო, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ფუნქციის სათავსებს შეიცავდა. პირველ სართულზე მაღაზიები და საწყობები იყო განთავსებული, მერე სართულზე გაერთიანებული ბანკის ოფისი მდებარეობდა. ძველი ბათუმის მოდერნულ შენობებს შორის მ.კოსტავას ქუჩაზე მდებარე ნაგებობა გამოირჩევა მოქნილი, დენადი სილუეტითა და პლასტიკურ-დეკორატიული ელემენტების სიუხვით. ფასადების რიზალიტები, რომლებშიც სადარბაზოს შესასვლელები და ეზოსთან დამაკავშირებელი გვირაბია გაჭრილი, მაღალი, მრუდხაზოვანი აწეული პარაპეტითაა აღნიშნული. ფართო ღიობები და უხვი პლასტიკური დეკორი, არქიტექტურულ ელემენტთა სიმრავლე - ტალღისებური კარნიზები, მრუდი და სწორხაზოვანი ფანჯრები, მრგვალი და სწორკუთხა აივნები, აჟურული მოაჯირები, ნაძერწი კრონშტეინები, დეკორირებული აივნის ძირები, მცენარეულ-მოტივებიანი პანელები, ერთ-ერთი რიზალიტის თაღში გამოსახული მოზაიკური პანო და სხვა დეტალები საფასადო დეკორის მრავალფეროვნებასა და ინდივიდუალიზმს უსვამს ხაზს. მხატვრული ელემენტების კულმინაციას შენობის წახნაგოვანი კუთხე წარმოადგენს, სადაც სკულპტურული სახეები - მასკარონი და გრძელთმიან ქალთა რელიფური ბიუსტებია გამოსახული. ცნობილია, რომ საფასადო ქანადაკების აყვავება საქართველოში XX საუკუნის დასაწისიდან იწყება და იგი, უპირველესად, 1900-იანი წლების დასაწყისიდან გავრცელებული მოდერნის სტილის არქიტექტურასთანაა დაკავშირებული (ხოშტარია, 2008:16-18). თბილისის არქიტექტურაში გვხვდება ისეთი საინტერესო ნიმუშები, რომლებსაც ახასიათებს ხელოვნების სხვადასხვა სახეების (არქიტექტურა, ქანდაკება, ფერწერა, ვიტრაჟი, მოზაიკა) სინთეზი. მოდერნულ შენობათა საფასადო ქანდაკებები განსხვავებული მხატვრულ-იდეური ფუნქციის მაატარებელია. ზოგჯერ ისინი სოციალური მოწოდების ხაზგასმას ემსაურებიან და ფიგურული კომპოზიციებისა და ალეგორიული პერსონაჟების წარმოჩენით ხაზს უსვამენ შენობის დანიშნულებას (ზუბალაშვილის „სახალხო სახლი“, ახლანდელი კ. მარჯანიშვილის თეატრი; ქართველი თავადაზნაურობის თეატრი, იგივე საბანკო თეატრი, 1902-1908 წლების რეკონსტრუქცია). უხვი სკულპტურული დეკორი ახასიათებს თბილისის მოდერნის სტილის საზოგადოებრივ შენობებსა და დიდ საცხოვრებელ სახლებს. თბილისური მოდერნული სახლების სკლუპტურული შემკულობა უმთავრესად აკადემიური ხელოვნების პრინციპებს ავლენს, თუმცა გვხვდება ისეთებიც, რომლებიც, შესრულების მანერით, მოდერნის სტილის გავლენას აჩვენებს. ასეთია განზოგადებულ-გეომეტრიზირებული ფიგურები, ნაივური ექსპრესიულობით გამორჩეული სახეები, ქალთა გამოსახულებები, რომლებშიც თავს იჩენს მოდერნისათვის დამახასითებელი იდუმალება, პოეტურობა და მგრძნობელობა და სხვ. ბათუმის ამ შენობის კუთხის წახნაგის პილასტრებზე გამოსახული თმაგაშლილ ქალთა ფიგურები სწორედ ასეთ სახეებად წარმოგვიდგებიან და თავიანთ დენადი, დინამიკური, ხაზობრივი ტეხილი ფორმებითა და სილუეტებით ერთვიან დეკორატიულ „არაბესკებს“. მოდერნის არქიტექტურული დეკორის მოტივია მასკარონები, რომლებიც ზოგჯერ განსაკუთრებული ექსპრესიულობითა და მგრძნობელობით გამოირჩევიან. ფორმის თვალსაზრისით, მასკარონებს ახასიათებს როგორც რეალისტური, ასევე, სტილიზებული და აბსტრაგირებული ფორმები. ბათუმის შენობაზე, აივნის დეკორში ჩასმულ მასკარონს, სახის ნაკვთების მკვეთრი და უტრირებული ფორმების გამო, ექსპრესია და გროტესკულობა გამოარჩევს. შენობის მოხდენილი პროპორციები, დინამიკური ფორმები, უხვი დეკორი ნაგებობას ისტორიული განაშენიანების მკაფიო დომინანტად აქცევს. ბოლო წლებში, ხანგრძლივი რეკონსტ-

[8] პ.შპოლიანსკი XX საუკუნის დასაწყისში ბათუმელი ებრაელების სალოცავი სახლის ხაზინდარი იყო. იგი ასევე ხელმძღვანელობდა „მარინსკისა“ (მ. აბაშიძე) და ერისთავის (გ. მაზნიაშვილის) ქუჩების კვეთაში მდებარე საურთიერო საკრედიტო ბანკის ბათუმის განყოფილებას.

რუქციით შექმნილი პრობლემებისა და უფუნქციო მდგომარეობაში ყოფნის გამო, მთლიანად განადგურებულია შენობის ინტერიერი და შემინული გალერეებით გადაწყვეტილი ეზოს ფასადი.

ძველი ბათუმის არქიტექტურაში მოდერნული რეკონსტრუქციის ნიმუშია ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის შენობა, რომელიც პირველი გილდიის ვაჭარს - აშოტ მდოიანცს ეკუთვნოდა (Душкина 2010; Месхи, 1914).[9] 1880-იან წლებში აშენებული შენობის ფასადი მოდერნული მხატვრული დეკორითაა გაცხოველებული. ფასადის ძირითად მორთულობას თაღითა და საჭექი ქვით აქცენტირებული, სამნაწილიანი, განიერი და ვიწრო ღიობებით გახნილი კარის დეკორი, სამკუთხა ფრონტონიანი თავსართებით შემკული სწორკუთხა ფანჯრები და კარნიზის დეკორატიული კრონშტეინები შეადგენს. დიდი ღიობებითა და მსხვილი მხატვრული ელემენტებით დამუშავებული ფასადი რუსტირებულ-ხორკლიანი სიბრტყეთა მონაკვეთებით მოდერნის სტილის სადა და ნათელ მხატვრულ კომპოზიციას ქმნის. მეორე სართული შენობას 1957 წელს დააშენეს. ამჟამად ნაგებობის არქიტექტურა XX საუკუნის 10-იანი წლების მოდერნისა და XX საუკუნის 50-იანი წლების საბჭოთა კლასიციზმის ნიშნებს შეიცავს.

პ.მელიქიშვილის ქ. №30 მდებარე საცხოვრებელი სახლი მოდერნის სტილის გამორჩეული ნიმუშია. მისი საფასადო დეკორი – სარკმლის საპირეებში ჩახვეული ვარდები, ფანჯრების ქვეშ განთავსებული „შროშანებიანი“ პანელები, რიზალიტისა და პორტალის შემამკობი ელემენტები, აივნის აჟურული მოაჯირები, სადარბაზოს კარის ალათები გამოირჩევა ინდივიდუალური კომპოზიციური გადაწყვეტით, პლასტიკური ძერწვის, ხეზე კვეთისა და ლითონის დამუშავების ოსტატობით. ძლიერ შელახულია სადარბაზოს გვიანი მოხატულობა და ეზოს შუშაბანდები. ჩვენი საუკუნის დასაწყისში დაშენებული მანსარდა მოცულობითა და მასშტაბით მეტ-ნაკლებად ერწყმის ისტორიულ ნაგებობას.[10]

მოდერნის სტილისათვის დამახასიათებელი ცალკეული დეტალები ძველი ბათუმის სხვა, ფსევდო სტილის ნაგებობზეც გვხვდება (ყოფილი ბანკის - ამჟამინდელი საკონსტიტუციო სასამართლოს შენობა, ყოფილი ფოსტის შენობა, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №54 მდებარე საცხოვრებელი სახლის ამჟამად უკვე განადგურებული მრუდხაზოვანი ფრიზი და სხვ.). ფარნავაზ მეფისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩების გადაკვეთაში შემორჩენილი მოდერნული შენობის ფრაგმენტი, ასევე, ტეხილსილუეტიანი, ხორკლიან-გლუვი ზედაპირების მქონე, ლარნაკებითა და წრეებით დამუშვებული ბეტონის ღობე ადასტურებს, რომ ამ სტილის შენობები ძველი ბათუმის თანამედროვე, ახლად გაშენებულ „ნურიეს“ უბანშიც ფართოდ იქნებოდა წარმოდგენილი. მოდერნის პოპულარობას მოწმობს XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ ფოტოზე გამოსახული ბათუმის სანაპირო ზოლში განთავსებული, სამაშველო სადგურის სათვალთვალო პუნქტის საფასადო დეკორიც.

მოდერნის სტილის პოპულარობას ადასტურებს, ასევე, აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული, 1911 წლით დათარიღებული პროექტი, რომელიც ნ.ბარათაშვილის და მ.აბაშიძის (ყოფილი თბილისისა და მარინის ქუჩები, ახლანდელი ევროპის მოდენის მიმდებარე ტერიტორია) ქუჩების კვეთაში მდებარე სადა, მკაცრი სტილით გადაწყვეტილი ნაგებობის მოდერნული ფორმებით განახლების მცდელობას ასახავს [ასს, ფ. ი-6, ან. 2, ს. 502]. ნაძერწი საპირეების მქონე კარ-ფანჯ-

[9] წარმოშობით ახალციხელი, პირველი გილდიის ვაჭარი ა.მდოიანცი ბათუმში რამდენიმე სავაჭრო კომპანიას, სანაოსნოს, კუსტარულ საწარმოებს და საკუთარ სახლებს ფლობდა. 1922 წელს ა.მნდოიანცის მთელი ქონება კონფისკაციას დაექვემდებარა, ხოლო მის კუთვნილ სახლში გაიხსნა ხაზინა, 1930 წლიდან კი აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს.

[10] ზოგიერთი მოსაზრებითა და შენობის მობინადრეების ინფორმაციით (ადრე არსებული წარწერის თანახმად) ნაგებობა 1840-იან წლებში უნდა იყოს აგებული (უზუნაძე, 1997:36), ფასადის მოდერნული ელემენტებით შემკობა XX ს-ის დასაწყისში უნდა განეხორციელებინათ სადარბაზოს კარის, აივნების ლითონის მოაჯირების, მოდერნისათვის დამახასიათებელი სტილიზებული მცენარეულ-გეომეტრიული ფორმებით ნასაზრდოები ნაძერწი დეკორის დამატების გზით.

რებით დანაწევებული ნაგებობის ფასადი გაცოცხლებულია მოდერნის სტილისათვის დამახასიათებელი რუსტირებული ცოკოლისა და ფასადის გლუვი სიბრტყეების ფაქტურული კონტრასტით, აივნის ანტაბლემენტის მრუდით, დინამიკური სილუეტით, ტალღისებური პარაპეტით, ლითონის მოაჯირების ალათებითა და კარ-ფანჯრების მორთულობის დეტალებით. იმავე ნიშნებს ავლენს ეზოს ღობე-კედელი, რომლის მსგავსი ნიმუშები დღემდეა შემორჩენილი ბათუმის ძველ უბნებში. პროექტი შედგენილია პანტელეევის (პანტელეევიჩის) მიერ (ჭიჭილეიშვილი, 2009:266-275).

ამასთანავე, ძველი ბათუმის არქიტექტურაში გვხვდება ისეთი შენობები, რომელთა შემკულობაში გამოყენებული აპრობირებული ფორმები (კედლის სიბრტყეთა შერეული ფაქტურა, შვეული ხაზების მოტივები, ღიობების მინიმალისტური დეკორი და სხვ.) და მხატვრული ხერხები ვერ უზრუნველყოფს მოდერნისათვის დამახასიათებელ ინდივიდუალურობასა და პლასტიკურ გამომსახველობას, რაც ეკლექტური ტრადიციების მდგრადობით უნდა იყოს განპირობებული.

ძველი ბათუმის არქიტექტურაში მოდერნის სტილის ელემენტები XX საუკუნის 20-იან წლებამდე ვლინდება. ასეთია საბჭოთა პერიოდთან დაკავშირებული ზუბალაშვილის ქუჩა №39-ში მდებარე სატრანსპორტო უწყების, საზღვაო-სარკინიგზო ცენტრის მუშაკებისათვის აგებული ორსართულიანი სახლის ფასადის შემკულობა (1921-1925 წლები). ვერტიკალური და ჰორიზონტალური აქცენტებით დაბალანსებული მკაფიო სტრუქტურის ფასადს ამკობს ეკლექტური და მოდერნული არქიტექტურის ელემენტები - ფანჯრის საპირეების სწორკუთხა იმპოსტები სამმაგი საჭექი ქვის მოტივებით, ხორკლიან-გლუვზედაპირიანი პილასტრები, სადარბაზოს უჯრედის სწორკუთხა და ოვალური ფორმის ღიობები. სტილისტური თვალსაზრისით, ნაგებობა ეკლექტიზმიდან კონსტრუქტივისტულ არქიტექტურაზე გარდამავალი ეტაპის ნიმუშია.

დასკვნა: მოდერნის სტილი ძველი ბათუმის არქიტექტურაში XX საუკუნის დასაწყისიდან მკვიდრდება. ინდივიდუალირი მხატვრული გადაწყვეტის მქონე, მეტ-ნაკლებად თავდაპირველი სახით მოღწეული შენობები, ნაგებობათა თანადროული რეკონსტრუქციები, განახლებები, პროექტები, ფოტომასალები ბათუმის არქიტექტურაში სტილის პოპულარობას მოწმობს.

ბათუმის მოდერნული ნიმუშების შესახებ ინფორმაცია ძალზე მწირია. კვლევის ამ ეტაპზე, გამონაკლისების გარდა, თითქმის არ დგინდება ბათუმში მოღვაწე, მოდერნის სტილში მომუშავე არქიტექტორთა და პროექტის ავტორთა ვინაობა. ასევე, არ იკვეთება იმ სახელოსნოების საქმიანობა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ფასადებისა და ინტერიერების დეკორატიული სამუშაოების შესრულებას.

მოდერნის სტილის შენობები წარმოადგენენ ძველი ბათუმის ურბანული ანსამბლის განუყოფელ ნაწილს. ფუნქციური მრავალფეროვნება, კომერციული და საცხოვრებელი კომპარტიმენტების შერწყმის ტენდენცია ბათუმის მოდერნული შენობების დამახასიათებელი ნიშანია. ზოგიერთ მათგანს, მდებარეობის, მასშტაბის, დენადი დინამიკური და მხატვრულად გამომსახველი დეკორატიული ფორმების გამო, გამორჩეული ქალაქეგემარებითი აქცენტის მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა, ძველი ბათუმის არქიტექტურაში უპირატესობა ენიჭება ურბანულ განაშენიანებაში ჩართულ მოდერნული არქიტექტურის ისეთ ნიმუშებს, რომელთაც კამერული მასშტაბები, ზომიერი, სწორხაზოვან ფორმებზე დამყარებული საფასადო შემკულობა და ნაკლებად „ფანტასმაგორიული“ პლასტიკური დეკორი გამოარჩევს. საქართველოს, კერძოდ, თბილისის ინტერნაციონალური მოდერნის ნიშანდობლივი თავისებურება, ეზოს ფასადების ტრადიციული სტრუქტურის შენარჩუნებისა და მოხარატებული აივნებით გადაწყვეტის ტენდენცია, ბათუმის არქიტექტურაში სუსტადაა გამოვლენილი, რაც ავთენტური ურბანული ქსოვილის რღვევითა და ნაგებობათა უხეში რეკონსტრუციებითაა განპირობებული. ერთეული ნიმუშებით შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომ ბათუმის მოდერნული სახლების შიდა ეზოების ფასადები, ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, შემინული გალერეებით იქნებოდა წარმოდგენილი.

გამოყენებული ლიტერატურა

აჭარის საარქივო სამმართველო (ასს): ფონდი ი-6, ან. 2, საქმე, 498;

აჭარის საარქივო სამმართველო: ფონდი ი-6, ან. 2, საქმე 505;

აჭარის საარქივო სამმართველო:ფონდი ი-6, ან. 2, საქმე. 502;

ბერიძე, 1953:- ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება, II, თბილისი, 1963, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;

<u>გენგიური,2013:- გენგიური ნ., რამდენიმე მოსაზრება თბილისის მოდერნის არქიტექტურაზე, საქართველოს სიძველენი, 16, თბილისი 2013, გვ. 214-226;</u>

გენგიური, 2015:-გენგიური ნ., მოდერნის სტილი საქართველოში — თავისებურებები თბილისის საცხოვრებელი სახლების მიხედვით, ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები VI, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015, გვ.11-18;

თავაძე, 2015:-თავაძე ს., ბათუმის კინემატოგრაფიული ცხოვრების ისტორიიდან -კინოთეატრების დაარსება და განვითარება, ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა, VI, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, გამომცემლობა „ჯეოპრინტი“, თბილისი, 2015, გვ. 223-229.

კლდიაშვილი, 1984:- კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, 1984.

უზუნაძე, 1997:-უზუნაძე რ., ბათუმის ისტორიიდან, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 1997;

ღვინერია, 2023:-ღვინერია თ., ედმუნდ ფრიკის არქიტექტურის სტილისტური ინტერპრეტაციები, 2023, II ნაწილი, ელექტრონული ჟურნალი „ARS GEORGICA“, სერია B, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი (გადამოწმებულია 01.05. 2026).
https://new.georgianart.ge/magazine/2023(II%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98)/46

ხოშტარია, 2008:-ხოშტარია დ., საფასადო ქანდაკება თბილისში, 2008.

ჭიჭილეიშვილი, 2009:-ჭიჭილეიშვილი მ., ძველი ბათუმის არქიტექტურის მხატვრული სტილის ზოგიერთი საკითხი, ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა, I, ბათუმი, გამომცემლობა შოთა რუსათაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009. გვ. 266-275.

Всеобщий Адресъ ежегодник И.С.Державина на 1902;

Душкина. 2010:-Душкина Н. Ашот Мндоянц – начальный период жизни и творчества, Москва 2010;

Месхи, 2014:- Месхи И., Памятная книжка гласных Батумской городской думы на 1914 г. Батуми, 1914.

Carla McKinney Brenner, Art Nouveau, National Gallery of Art Washington, Exhibition Catalogue, 2000. ttps://www.nga.gov/sites/default/files/migrate_images/content/dam/ngaweb/education/learning-resources/teaching-packets/pdfs/art-nouveau-tp.pdf

ილუსტრაციები



ნ. ნიკიფორიდის სახლის პროექტი

მემდ აბაშიძის ქუჩა №16

მემედ აბაშიძის ქუჩა № 14-12



მემედ აბაშიძის ქუჩა № 10

კინოთეატრი „აპოლო“

კინოთეატრი „ილუზიონი“. ყოფილი დონდუკოვ-კორსაკოვის (კ. გამსახურდიას) ქუჩა



კინოთეატრი „აპოლო“ 1911 წელი, მ. გლაუდანის ფოტო

მემედ აბაშიძის ქუჩა № 41

მემედ აბაშიძის ქუჩა № 49

იაკობ გოგებაშვილის ქუჩა № 16

გიორგი მაზნიაშვილის ქუჩა № 36

ნ. საბაშვილის მაღაზიის პროექტი (მ. კოსტავას ქ. № 20). 2004 წლის ფოტო.

ნ. საბაშვილის მაღაზიის შენობა რეკონსტრუქციის შემდეგ. 2015 წლის ფოტო.

ზვიად გამსახურდიას ქუჩა № 14.



ზ. გამსახურდიას ქუჩა № 14.

ხარიტონ ახვლედიანის ქუჩა № 4 (ხ. ახვლედიანის სახელობის მუზეუმის შენობა)

პეტრე მელიქიშვილის ქუჩა № 30

Наблюдательный пункт
Батумской спасательной станции. Нач. XX в.

ფარნავაზ მეფის ქუჩა № 65 სამაშველო სადგურის სათვალთვალო პუნქტი